წელიწადი I-ლი

შაბათი 13 ნოემბერი

~~ფასი 15 მან.~~

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 20 მან.

4 " " " . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. სად. ვს.

№ 54 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 54

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

დღეს ჩვენ სურათზე კინემატოგრაფიის

მ ე ფ ე ე ბ ი

მაზჟუხინი და ლისენკო სურათში

პროკურორი და მეძავე ქალი

დრამა 6 ნაწილათ.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ

ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

ს უ რ ა თ ი ანნა კარენინას

დიდი კოლოსალურ წარმატების გამო აჩვენებენ კიდევ ორ დღეს 10 და 11 ნოებერს.

ანონსი პარასკევიდან, 12 ნოემბერიდან

სისხლმა თავი იჩინა და სხვა

5 ნაწილად.

ე ქ ი მ ი ი. ლ. პ ა პ ა ვ ა

ღებულობს შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული სუსუნატი) და სიფილისით ავათმყოფთ (შეშხაპუნება 606 და 914).

ყოველ დღე სიღამოს 5—7 საათამდე.

აზიზიეს მოედანი, სახალხო გვარდიის შტაბის გვერდით.

ბათომის მუშათა მაზიდა

ამით სთხოვს ყველა მუშა მოსამსახურეებს, ვინც კი სარგებლობს იაფფასიან სადილით, რა ამა ნოემბრამდე წარმოადგინონ მაგიდის მიერ მიცემული მოწმობები

გამოსაცვლელათ

ვინც ამ რიცხვამდე არ შეიძენს ახალ მოწმობას, იმას მაგიდა შეუწყვეტს იაფ-ფასიან სადილის მიცემას.

3—1 მუშათა მაზიდა.

## ბათომი, 13 ნოემბერი.

ახალი საგანგებო კომისარი ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე ბათომს ჩამოვიდა და დღეს თუ ხვალ თავის მოვალეობას მოჰკიდებს ხელს.

ჩიტი რეკიათ ტფილისის გარეწარნი მღერიან, რომ ამით აქ მთავრობის პოლიტიკა იცვლება და დაგმობილ იქნება ბენია ჩხიკვიშვილის მოღვაწეობა.

რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას საჩხირკედლაო არაფერი არ აქვს, მისი პასუხისმგებელი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ არავითარი ცვლილება არ მოხდება და ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც დროებით იყო წარმოგზავნილი აქ ბრუნდება ქალაქის მოურავის პოსტზე, და მის ადგილს იჭერს ყოფილი სამხედრო მინისტრი ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე.

მეტი არაფერი.

მთავრობა განაგრძობს შემოქმედებითი მოღვაწეობას და ყველა დაპირებები განაღდებულ იქნება მაშინ, როცა ხალხი დაუმტკიცებს მთავრობას, რომ ის არ გაებმება ქემალის ჯადოსნურ ქსელში და დარჩება ერთგული დედა სახელმწიფოსადმი ე. ი. დროებითი საგანგებო მთავრობა შეცვლილი იქნება ადგილობრივ დემოკრატიულ არჩეულ მმართველობით მაშინ, როცა მოხდება სრული ლიკვიდაცია მოსაზღვრე ადგილებში ქემალის საფრთხისა და საბოლოოთ გამოირკვევა დამოკიდებულება საქართველო და ოსმალეთისა. მთავრობა ყოველ ღონით სცდილობს, რომ ოლქს მოშოროს სამხედრო მდგომარეობა და დაიცვას ხალხის წყნარი ყოფა-ცხოვრება. ამაზე მეტს ოლქის ძირეული მცხოვრებნი არას საჭიროებენ და თუ არიან ზოგაჯათ მოყვანილი პირები, რომლები ცსცდილობენ ხალხში ამბოხებელი პროპაგანდით აქ მთელი რიგი საკითხების შექნას და მით შინაურ ქართულებას ნოყიერი ნიადაგად გაუხდეს, ასეთებს ჩვენ ვეტყვით, რომ საქართველოს დემოკრატია იმდენად ძლიერია, რომ მსგავს შემთხვევითი ხალხს ანგარიშსაც არ გაუწევს და ასეთ ხალხისთვის უმჯობესია დროზე შეაჩეროს ბოროტი კალამი, რომლის მიზანიც არის გულუბრყვილო მასების დედა საქართველოს წინაალმდეგ ამხედრება, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ქემალისტების გულის გახარება. ჩვენ ბევრჯერ მიგვიმართავს ამ ხალხისთვის და გვირჩევია, რომ ახლა ამის დრო არ არის, რომ დღეს ერთსულოვნება და შეკავშირება გვჭირია, მაგრამ ეს ქონდრის ხალხი ისევ თავისას განაგრძობს.

უკანასკნელად კიდევ ვაფრთხილებთ ჩვენ ახირებულ პოლიტიკოსთ და ნუ სთხრიან ისინი ისეთ უფსკრულს, რომელსაც მოყ[illegible]ული „პუბლიცისტი“ ვაჟბატონები მყისვე გაეცლებიან მატარებლით და რომელმა უფსკრულმაც აქაურ ხალხს უნდა „ამწაროს“. ხალხი შერჩება პირში განსაცდელიან მოვლენებს...

მოიშორეთ „ვერაგი“ მრჩევლები იყავით ის, რაც ყოფილხართ. იცოდეთ, რომ თქვენი ახალი მრჩევლები ისეთივე მტრებია სამუსლიმანო საქართველოსთვის, როგორც „სედაი მილეთლები“. ნუ აჰყვებით მათ, თავი თქვენი გენანებოდეთ!

## სადღეისო შენიშვნები.

### კრიტიკა თუ კრიტიკანობა.

ბათომის ოლქში განსაკუთრებული მდგომარეობაა. აქ არ არსებობს ეროვნული, ნაციონალური პრობლემა, რადგან აჭარლები და ქობულეთლები ისეთივე ქართველებია, როგორც კახელები, გურულები, იმერლები და სხვ. ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას რელიგიური მომენტი ჰქმნის.

თუ სხვა მუსლიმანურ ქვეყნების მაგ. ინდიის, ეგვიპტის და არაბეთის მცხოვრებთათვის ისლამი და ეროვნება ერთი და იგივე არ არის, ოსმალეთში სარწმუნოება და ეროვნება ერთმანეთში გაითქვიფა და ოსმალოსათვის ყველა მუსლიმანი თურქია. ბათომის ოლქში ასეთ აზროვნების განვითარებას უწყობდენ ხელს, როგორც თვითმპყრობელობა ისე ოსმალეთის ემისრები და პროპაგანდისტები. ამ აზროვნებამ აჭარლები, რომლებიც ეკონომიურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ სხეულთან, სულიერად ოსმალეთს დაუნათესავა. აჭარლების უმრავლესობის აზროვნებაში სრულიად წაიშალა წარმუნოება-ეროვნების სხვადასხვაობა, მისთვის — მუსლიმანი თურქია და სამშობლოც იქ მიაჩნია, სადაც თურქნი ცხოვრობენ, ამ აზროვნების განმტკიცებას ხელი შეუწყო აზერბაიჯანის, სედაი-მილეთლების და ჩვენი დემოკრატიის სხვა მტრების პროპაგანდა—აგიტაციამ. ყველა ეს მოსყიდული პროვოკატორები აჭარლებს ეუბნებოდენ: ქართველები მოვა, თქვენს მეჩეთებს და რჯულს შეეხება, შეურაცყოფას მიაყენებსო. ისინი სწორედ აჭარელის მტკივან ადგილს ეძებდენ ეს ადგილი კი რელიგიური სიმი იყო. ინგლისელების ოკუპაციის დროს დენიკინელები პირდაპირ აუარებელ ფულს ხარჯავდენ ოლქში სედაი-მილეთლების აგიტაციისათვის ხელის შესაწყობათ, რომლებთანაც ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდენ საქართველოს წინაალმდეგ. საქართველოს დემოკრატიის მტკიცე ნებამ და ენერგიულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: ბათომი დაგვიბრუნდა.

ყველა აქ მომქმედი ჯგუფების და ორგანიზაციების ვალია, რომ ეს დაბრუნება არ იყოს მარტო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება, არამედ ხალხიც დაგვიბრუნდეს, ოსმალეთის მაგიერ აჭარა-ქობულეთი სულიერათ ქართველ ერს დაენათესავოს. როდია საკმაო რომ ეს ნათესაობისა და კავშირის გრძნობა არსებობდეს ხალხის მცირე ჯგუფში, საჭიროა ის საყოველთაო გახდეს, ბათომის ოლქის ყველმა მუსლიმანმა იგრძნოს ეს კავშირი.

საჭიროა ყველა სასიცოცხლო ძალების ამოძრავება მიფერფლილი ეროვნული გრძნობის გასაღვიძებლად, უნდა ამეტყველდეს 400

მოითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ.
პაპიროსები „გლორია", ფინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.
ახლად გამოშვებული
ფრანგული საქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი."

წლის მონობის დროს მიდუმებული ძეგლები ამ კუთხის წარსული ბრწყინვალებისა და წარმატებისა. აჭარელს ბევრი რამ ახსოვს თავის მამა-პაპათა საქართველოსთან, ქართველ ერთან, ნათესაობის შესახებ, საჭიროა ყველა ამის გაღვიძება, გამქრალი სახეების აღდგენა.

ვის არ ახსოვს იაკობ გოგებაშვილის „იავ-ნანამ რა ქმნა". ლეკების მიერ მოტაცებულ ქალს იავნანამ, მშობლიურმა სიმღერა-ალერსმა დედ-მამა გაახსენა.

ბათომის ოლქის მცხოვრებში საჭიროა ისეთი მუშაობა, რომელიც ოლქის მუსლიმან მცხოვრებლებში საქართველოსთან ნათესაობის გრძობას გააღვიძებს, პასივობიდან გამოიყვანს. ქართველ მუსლიმანთა ძალები ამ საქმეს უნდა მოხმარდეს, ამ დარგში არის საჭირო მათი ენერგიული მუშაობა, თორემ დღემდე რაც გაკეთდა საქმის ნახევრათ გაკეთება იქნებოდა.

აქ ოლქში მუშაობის დროს სრული საქმიანი თანამშრომლობა უნდა დამყარდეს ყველა იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც აფიქრებთ საქართველოს ბედი, ვისაც გულს უტოკებს მამულისადმი და მშობელ ერისადმი სიყვარული.

ინგლისელელების წასვლის შემდეგ აქ მრავალი, საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეები იყო მოსაგვარებელი და მთავრობამ აქ საგანგებო მმართველობა შემოიღო. ჩვენ არ შეუდგებით აქ იმის განხილვას თუ რა შეცდომები დაუშვა საგანგებო მმართველობამ დღემდე. შეცდომებიდან დაზღვეულია მხოლოდ ის, ვინც უპასუხისმგებლო ოპოზიციის, გ ა რ ე შ ე მაყურებლის როლს თამაშობს ან არაფერს არ აკეთებს. უდეფექტო არავითარი საქმე არ არის და დეფექტებიდან რასაკვირველია ვერ იქნებოდა დაზღვეული ვერც საგანგებო მმართველობა, რომელმაც ბათომსა და მის ოლქში მეტად მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა. საგანგებო მმართველობას თავიდანვე უხდებოდა აქ საადმინისტრაციო და მხარის სამმართველო აპარატის მოწყობა და აქ აუცილებელია დეფექტები, რომელიც ყოველივე საქმეს განსაკუთრებით კი ახლად დაწყებულს თან სდევს.

მმართველობის და ადმინისტრატიულ დეფექტებზე, რომლის გამოსწორებას უუდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ჩვენ მრავალჯერ მიგვითითებია. ჩვენ სახელმწიფო ინტერესებით ვხელმძღვანელობდით და ამიტომ ჩვენი კრიტიკა იყო საქმიანი

ვისაც მხარის კეთილდღეობა აინტერესებს, ის ჩვეულებრივ სიწვრილმანის, მეჩხანების ხვეწის, გარეშე უნდა დადგეს,

ჩვენ ვერ დავიწუნებთ საგანგებო მმართველობის მოქმედების საერთო გეგმას და თუ ამ გეგმაში რაიმე დეფექტებია უნდა ვიზრუნოთ მის გამოსასწორებლათ.

ქემალისტები სომხეთზე თავდასხმით შექმნილი საფრთხის გამო ოლქში საგანგებო მმართველობა კვლავ რჩება, ყველა იმათ ვისაც მხარის კეთილდღეობა და საქართველოს სვე-ბედი აინტერესებს, მთელი თავის ძალები უნდა მოახმარონ იმის გაკეთებას, რაც დღემდე არ გაკეთებულა: ხალხი უნდა გამოვაფხიზლოთ, პასივობიდან გამოვიყვანოთ, მასში თვითმოქმედება გავაღვიძოთ, მიძინებული ნაციონალური გრძნობა ავამოძრაოთ.

საგანგებო მმართველობას ყოველი დახმარება უნდა გაუწიოთ რჩევა-დარიგებით მხარის მართვა-გამგეობაში.

ამ მხრით იმ განსაკუთრებული სათათბირო საბჭოს შექმნა თვალსაჩინო როლს ითამაშებს.

ბათომში განსაკუთრებული მდგომარეობაა და ეს გარემოება მეტს პასუხისმგებლობას და შეთანხმებულ მუშაობას გვავალებს. ეს ყველამ უნდა შევიგნოთ, ვიმეორებთ ჩვეულებრივ მეშჩანურ სიწვრილმანის გარეშე უნდა დავდგეთ.

კრიტიკანობა ავნებს საერთო საქმეს და სარგებლობას კი არას მოიტანს.

საღი კრიტიკა სარგებლობას მოიტანს და მით საერთო საქმეს—გაერთიანებული საქართველოს კეთილდღეობას ხელს შეუწყობს.

ე. წ—ძე.

# პრესა.

ერთობა ეხობა აჭარაში მუშაობის გეგმას და შემდეგს სწერს:

როცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა მხოლოდ კულტურტრეგებათ ვიქცეთ და მარტო ამით დავკმაყოფილდეთო, ისინი ვერ ამჩნევენ ხანგრძლივი მუშაობის პროგრამას, დღესვე აუცილებელ თავდაცვის ზომებიდან

ცხოვრების სინამდვილე კი უფრო რთულია, ვინემ რომელიმე დოქტრინა, ან გეგმა იგი თხოულობს საბოლოო მუშაობასთან ერთად ყოველდღიურ ბრძოლას.

მოფერება და სიტყვა ვერ გასჭრის იქ, სადაც მოქმედება იწყება.

იმ აგიტატორებს, რომელნიც დღეს ქემალის ფულით დავარჯიშობენ აჭარაში, ჩვენი შრომავალი მუშაობის გეგმა ვერ შეაჩერებს. ჩეტნიკები, რომელნიც მოსალოდნელია გადმოვიდენ ამ ხალხის ასარევათ—მჭერმეტყველებით ვერ დაიოკებ.

მათ ხმალი მოაქვთ და ხმალივე უნდა იყოს მათი დ მხდური აჭარის მცხოვრებლების იმ ელემენტებმა, რომელთაც გულში ასეთი განზრახვა უდევთ, უნდა იცოდენ, რომ ბათომის ოლქი—საქართველოს ნაწილია, მისი მცხოვრებნი—საქართველოს მოქალაქენი მასაადამე იარაღით მტრის მომხრობა, ეს ღალატია რესპუბლიკის და დემოკრატიის წინაშე ეს მუხანათობაა, რომელიც დაუსჯელი ვერ გადარჩება.

ჩვენ ვიცით მიზეზები და საფუძველი, რომელზედაც შენდება შესაძლებლობა ამ მუხანათობის; ვიცით, როგორ უნდა ამოიფხვრას ეს ნიადაგი, მაგრამ ვიცით ისიც, რომ მოლალატის სწავლებისათვის დღეს დრო არ არის. მუხთალი ხელი უნდა შეჩერებულ იქნეს.

ბევრს გაუკვირდა, როცა მთავრობა ასეთი განცხადებით გამოვიდა დამფუძნებელ კრებაში

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში სავსებით მართალი იყო მას არ შეეძლო არ გაეფრთხილებია თავის მოქალაქენი, რომ ამბოხება, მოღალატეობა დაუშვებელია, რომ ამ ბოროტების ჩამდენი სასტიკათ დაისჯება.

აჭარლები ჩვენი ძმებია, მაშასადამე ჩვენთან უნდა იყოს ჭირში და ლხინში. თუ მათში მოღალატე გამოჩნდა, ის ძმის მკვლელია და მაშასადამე ღირსი შეჩვენების, ღირსი უსასტიკესი სასჯელის. ოსმალოს აგენტები აქეზებენ ხალხს დღეს მოღალატეობისათვის. და მთავრობის წმინდა ვალი იყო იგინი გაეფრთხილებია, რომ ამით თავიდან აეცდინათ ძმათა შეცდომა და რეპრესიების აუცილებლობა. ჩვენ ვამბობთ: ძმასთან ძმურათ, მტერთან მტრულათ, მოღალატესთან შეუბრალებლათ და რა წამს გარეშე საფრთხე გაივლის კვლავ შეუდგებით იმ დიდ კულტურულ მუშაობას, რომელმაც საბოლოოთ უნდა შეადუღოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეები ისეთი დუღაბით, რომლის განგრევა არავითარ ძალას აღარ შეეძლოს.

## „ძროხა და დეპუტატი"

—„სახალხო საქმეში" ბ-ნი მ. სწერს; გ. გვაზავამ დაჰბეჭდა განმარტება. სადაც ამბობდა, რომ მართალია ათი ათასი სული საქონელი გამყავდა, მაგრამ ეს სატრანზიტო საქონელი იყო. სომხეთიდან მიმიდიოდა და არა საქართველოდანო. ყველა საჭირო საბუთები ხელთ მქონდაო. შესაძლოა ყველაფერი ეს ასე იყო (თუმცა როგორც ცნობა გადმოგვცემდა ამ საქმის თაობაზე გამოძიება სწარმოებს და ამ გამოძიების მასალა ჯერ გამოქვეყნებული არაა, მაგრამ ათასი ნებართვაც რომ ეჭიროს ხელთ ბ. გვაზავამ, ერთი რამ ჩვენთვის აშკარაა და ურყევია: დეპუტატი. პოლიტიკური პარტიის ლიდერი შორს უნდა იდგეს ძროხებისა და ხარების გაყვანის საქმესთან, სოვდაგრობასთან. მართალია, კანონი ამაზე არაფერს ამბობს, ქაღალდზე დაუწერელი კანონი, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწისათვის ზოგიერთ შემთხვევაში დაწერილ კანონზე უფრო მეტი ღირებულებისა უნდა იყოს, კატეგორიულად ჰგმობს ასეთ მჭიდრო კავშირს დეპუტატსა და ძროხა შორის, თუნდაც იმ უბრალო მოსაზრებით რომ ამიერიდან რამდენჯერაც არ გაიგონებს მოქალაქე ან გვაზავას სახელს, ან ნაც.-დემოკრ. პარტიისა უმალვე სულ მახლობელ ასოცია იად ძროხა წამოაგონდება. პოლიტიკური პარტია და ძროხა კი, უნდა დაგვეთანხმონ ამაში, ისეთი შორეული კატეგორიის ცნებანი არიან, რომ მათი გაერთიგივეობა მხოლოდ მოხერხებულ დეპუტატს თუ შეუძლიან."

# სათათბირო საბჭო.

მთავრობამ მიზან შეწონილად სცნო ჩვენი მხარის მმართველობისთვის უფრო დემოკრატიული ხასიათი რომ მიეცა და უფრო გაგებული, რომ ყოფილიყო კუთხის ყოველ მხრივი საჭიროებანი საგანგებო კომისართან დაარსებია საბჭო სათათბირო ხმით.

ამ საბჭოში შევლენ წარმომადგენელნი ქალაქის თვითმმართველობისა, ოლქში არსებულ ყველა ჯგუფებისა და მეჯლისისა.

თქმა არ უნდა ამ საბჭოს დიდი დადებითი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

იგი იქნება სწორი მრჩეველი ოლქის საგანგებო მმართველობაში.

საზოგადოებრივი ჯგუფები, ქალაქის თვითმართველობა და მეჯლისი სიალით განსჭვრეტავენ მდგომარეობას და მისცემენ საგანგებო კომისარს სწორს მოსაზრებებს.

აღარ ექნება მმართველობას ცალმხრივი ხასიათი პიროვნებისა და ყველა იტყვის თავის სათქმელს.

ჩვენი გაზეთი იმ თავიდანვე იძლეოდა ასეთ რჩევას და დღეს სიხარულით ეგებება მის განამდვილებას. ვინატრებთ რომ ამ საბჭოში შესულიყვნენ ქვეყნის ნამდვილი მოჭირნახულენი, ხალხში ნდობის მქონენი და მათ შესძლებოდეთ ძლიერი ნაყოფიანი თანამშრომლობა ერთად.

ეს საბჭო, რაც შეიძლება მალე უნდა შეიკრიბოს, დღეს თვით მომენტი იჩქარის ამისთვის.

Hèrèclè.

# ქრონიკა.

ახალი საგანგებო კომისარი ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე ბათომს ჩამოვიდა. სადგურზე მას შეეგებაგენ. მდივანი ადმინისტრაციის წარმომადგენლებით. ამ დღეებში ბ-ნი კომისარი თავის თანამდებობის შესრულებას შეუდგება.

გუშინ შინაგან და განათლების საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ნოე რამიშვილმა, ისიდორე რამიშვილთან, ბენია ჩხიკვიშვილთან და ან. მიქაბერიძესთან ერთად დაათვალიერა სატეხნიკო სასწავლებელი, მინისტრი დაესწრო როგორც თეორიულ გაკვეთილს ისე სატეხნიკო მეცადინეობას.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენ რესპუბლიკის ნავთსადგურების უფროსი ინჟინერი ანდრონიკაშვილი და ბათომის ნავთსადგურის ინჟინერი ბ-ნი მამაცაშვილი.

ბათომში მოწვეული ექიმი შაქარიშვილი მძიმე ავად შეიქნა.

ჯემალ ფაშა ხიმშიაშვილი ამ ჟამად ბათომში იმყოფება.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ბერძნულ ეროვნულ საბჭოს წევრი ბ-ნი კ. პოპონდოპულო.

გუშინ ბათომში ჩამოვიდა საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე, რომელიც აქ ქართულ პარკის უცხოეთში გაგზავნის საქმეს გაუწევს

ხელმძღვანელობას. ბ-ნი ი. ქუთათელაძე გაჩერდა სასტუმრო „ორიანტალში“.

ფოსტა-ტელეგრაფში ერთ ახირებულ გარემოებას აქვს ადგილი ვინაიდან დეპეშით გასაგზავნ სიტყვის ფასი მეტად მცირეა შედარებით (4 მანეთი), ამიტომ სპეკულიანტები დილიდან საღამომდე სხედან და არშინიან წერილებს გზავნიან დეპეშებით. მდიდარი ხალხი უკვე აღარ სწერს ჩვეულებრივ წერილებს, არამედ გზავნის ვეებერთელა დეპეშებს. ეს მოვლენა საშინელ მდგომარეობაში აგდებს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, ისინი სხედან და აპარატით სცემენ ორას სამას სიტყვიან დეპეშებს, ასე რომ საჭიროების დროს არც კი შეიძლება კაცმა საქმის დეპეშა ჩქარა გადასცე რადგან აპარატი დაკავებულია. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

საგანგებო კომისარის თ. ალ. გენ. მდივანის ბრძანებით ოლქის ინჟენერს ბ-ნ კ. გიორგობიანს გადაეცა ერთი მილიონი მანეთი სოფელ სალიბაურში გზის შეკეთების დასაწყებად.

საგანგებო კომისარმა ოლქის ინჟენერს უბრძანა დაჩქაროს ცნობების წარმოდგენა თუ რომელი გზები და ხიდები საჭიროებენ შეკეთებას.

14 ნოემბერს დილის 12 საათზე, ბათომის საქალებო გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მასწავლებელთა საზოგადო კრება, დღიური წესრიგი: 1) მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა, 2) მასწავლებელთა კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგატის მოხსენება, 3) მომავალი მასწავლებ. დელეგატთა ყრილობა და დელეგატების არჩევა, 4) სკოლის ავტონომია, 5) მიმდინარე საკითხები.

ბათომისა და მისი ოლქის მასწავლებელთა კავშირის წევრთა რეგისტრაცია ხდება მასწავლებელთა კავშირის წიგნების მაღაზიაში დილის 10 საათიდან 2-მდი და საღამოს 4 საათიდან 6-მდი.

კავშირის წევრათ ჩაწერა შეუძლიათ არა ქართველ მასწავლებლებსაც. წიგნის მაღაზია იმყოფება მარინეს პროსპექტზე, № 12 (სიმხოვიჩის მაღაზია).

11 ნოემბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 29 უმუშევარი, კვლავ ჩაეწერა 6 უმუშევარი.

13 ნოემბრიდან ბათომის პროფ. კავშირთა სეკრეტარიატი რკინის თეატრში აწყობს მუშებისათვის ხელმისაწვდომ სახალხო წარმოდგენებს. რეჟისორათ მოწვეულია მსახიობი ნ. კ. მიხაილოვსკი. პირველად დაიდგმება ოსტროვსკის ცნობილი პიესა „ტყე“.

ბათომის ნავთსადგურის უფროსი რესპუბლიკის სამმართველოს უფროსს სთხოვს, რომ ის პირები, რომელთაც მობილიზაცია ეხებათ და მათი ნავთსადგურის სამმართველოდან წასვლა ზიანს მოუტანს საქმეს განთავისუფლებულ იქნან გაწვევისაგან.

მეხუთე უბნის კომისარმა შეამდგომლობა აღძრა მილიციის წინაშე, რათა დაჯარიმებულ იქმნას ოვანეს ჩატრალიანი 25,000 მანეთით საგანგებო კომისარის სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

---

## ოლქში.

აგარაკ „ზელიონი მისში“ რესტორან „მწვანე სხივის“ დარაჯმა ალექსანდრე პუზანოვმა ოლქის სამართველოში განაცხადა, რომ ღამე ბოროტ მოქმედებმა გატეხეს რესტორანი და წაიღეს სხვ და სხვა ნივთები. როგორც გამოძიებიდან დამტკიცდა ბოროტმოქმედება თვით პუზანოვს ჩაუდენია. ის ყველაფერში დაწვრილებით გამოტყდა და უჩვენა სად შეინახა მოპარული ნივთები. საქმე გამომძიებელს გადაეცა

---

## ტრაპიზონის ცნობები.

(საკ. კორესპონდენტი.)

— ლაზი ვაჭრების ცნობით ქემალ-ფაშა საქართველოში დელეგაციის გამოგზავნას აპირებს.

— კომერსანტი ლაზები ირწმუნებიან, რომ ქემალი არ შეეხება საქართველოს ისე თუ წინასწარი მოლაპარაკება არ გამართა თბილისის მთავრობასთანო.

— ქემალ-ფაშამ გამოაცხადა რომ ის სდევნის სომხეთს მოღალატე მთავრობას, რომელიც წამ და უწუმ აწიოკებდა მუსლიმან ხალხსო.

— ტრაპიზონის ქემალის გაზეთები სწერენ, რომ სევრის ზავი გაუქმებულიაო.

— პასუხის მგებელი წარმომადგენელი ქემალისა გადმოგვცემს რომ მოსალოდნელია ქემალ-ფაშამ ანტანტასთანაც დაიწყოს მოლაპარაკება თუ ის მიიღესო.

---

## შრომის სამინისტროს ცირკულიარი.

„შრომის სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა პროფესიონალურ კავშირებს, შრომის კომისრებსა და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს:

უკანასკნელ დროს, როგორც ტფილისის, ისე პროვინციის კავშირებში ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა ისინი გაფიცვის მუქარით სხვა და სხვა მოთხოვნილებებს აყენებდენ. ამ მოთხოვნილებების შინაარსი იყო ან თავის დროზე ხელფასის მიცემა, ან პურისა და სხვა საგნების რეგულიარულად დადარიგება.

ასეთი მოვლენებს, რომელთაც თან ახლავს გაფიცვის მუქარა, შრომის სამინისტროს ხაზვლის სამწუხარო გაუგებრობათ. გაფიცვაზე დაყრდნობა, როგორც ერთად-ერთ საშვალებაზე ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობისა, არსებულ პოლიტიკურ პირობებში უსაფუძვლოდ უარყოფილ უნდა იქნას. მუშათა ორგანიზაციების აქვთ მთელი რიგი საშვალებისა, რომ მათ სახალხო მეურნეობის განადგურების გარეშე დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებანი. რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რომ მრეწველობა ნორმალურად მიმდინარეობდეს, ვინაიდან მრეწველობის ოდნავათ შეჩერებაც კი მთელი თავისი სიმძიმით მუშებს დააწვება.

ამიტომ რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზმის შერყევა მომასწავებელია მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის კიდევ გაუარესების. ყოველთვის როცა შრომის სამინისტროს შუამავლობა ვერ იძლევა მუშებისათვის სასურველ შედეგებს, იქ აუცილებლათ ადგილი აქვს ისეთ ობიექტიურ პირობებს, რომელნიც დროებით შეუძლებლათ ხდიან მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამ მდგომარეობას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს შეკავშირებულმა მუშათა კლასმა, რომელმაც იცის და თვალყურს ადევნებს სახალხო მეურნეობისა და ახალ სახელმწიფოს შენების დროს მოულოდნელად გაჩენილ დაბრკოლებებს.

მთელი მუშათა კლასის სიმტკიცის და განვითარებისათვის, მუშათა ორგანიზაციებმა, შრომის კომისრებმა და შრომის სამინისტროს რწმუნებულებმა ყოველივე ღონე უნდა იღონონ, რომ ცალკე ჯგუფებმა ან მუშათა კავშირებმა გაფიცვისა და მუშაობის მიტოვების მუქარით არ შეიტანონ დეზორგანიზაცია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ყოველ შემთხვევაში ყოველივე შესაძლებლობა უნდა იქნას ამოწურული, რომ უთანხმოება მშვიდობიანი გზით დასრულდეს,

შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ბახტაძე.

---

## სხვა და სხვა ამბები.

— გაზ. „Rote Fahne“ იუწყება, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა გერმანიის ქარხნებს დაუკვეთეს 6,000 ორთქლმავალი და სხვა სატრანსპორტო საშვალებანი.

«ეს ოსმალებს არ აინტერესებს».

„ობშჩეე დელო“ 97 იუწყება: მოსკოვის „პრავდის“ № 22 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია—ზინოვიევის გადმოცემით, საუბარი რომელიც მას ქონდა ბაქოში მყოფ ენვერ-ფაშასთან.

ზინოვიევი ეკითხება ახალგაზრდა თურქთა ბელადს, იციან თუ არა ოსმალეთში რა არის ბოლშევიკი.

— იციანო, უპასუხა ენვერმა. ბოლშევიკი ეს არის კაცი, რომელიც ინგლისის წინაამდეგია.

— როგორ უცქერიან თურქები იმას, რომ ბოლშევიკები ებრძვიან მდიდრებს და მემამულეებს.

— ეს ოსმალებს არ აინტერესებს, იყო ენვერის პასუხი.

როცა ამის შესახებ ილაპარაკა სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე, ზინოვიევმა შენიშნა, რომ „ოსმალეთის ყოფილი გლავკოვერხი ყველაფერს თავისი პარტიული თვალსაზრისით უცქერისო“.

ბოროტ-მოქმედება ლიტვაში.

ლატვიის მომარაგების სამინისტროში და სხვა ცენტრალური დაწესებულებებში გრანდიოზული ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინეს. მთავრობამ დაითხოვა 258 მოხელე.

დამფუძნებელ კრებაში ოპოზიციამ მთავრობის გადადგომა მოითხოვა. მთავრობამ მიწოდებით მიმართა მცხოვრებთ, რომელშიც აღუთქვამს, რომ ბოროტმოქმედნი აღმოჩენილი იქნებიან და სასტიკად დაისჯებიან.

დამოუკიდებელი კარელია.

„სვენსკა დაგბლადეტის“ გელსინგფორსელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კარელიის კერძოთ კი პორიარგის და რაპოლის მცხოვრებლებმა, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. გაზეთის განმარტებით ეს პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკების შედეგია

განაპირა სახელმწიფოები და საბჭოთა რუსეთი.

გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინლიანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხოლსტი რიგაში გაემგზავრა პოლონეთთან, ლიტვასთან, ესტონიასთან და ლატვიასთან ერთად განაპირა სახელმწიფოების საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის პროექტის გამოსამუშავებლად. ხოლსტის პროექტით, ყველა სახელმწიფოებმა რომლებმაც ზავი შეკრეს ბოლშევიკებთან, საერთო წესი უნდა გამოიმუშავონ ბოლშევიკებთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.

ურჩი გენერალი.

სტამბოლი. წინაამდეგ პოლონეთის მთავრობის სურვილებისა, გენერალ ჟელიგოვსკი ვილნოს დაკავების შემდეგ განაგრძობს სამხედრო ოპერაციებს ბოლშევიკების ფრონტზე. ვილნოდან აღმოსავლეთით მან გაანადგურა წითელი ლაშქრის მე-11 დივიზია.

ახალი აღმოჩენა.

პარიჟი. ფრანგული გაზეთების ცნობით, ფრანგმა მეცნიერმა ექიმმა ლერგონმა და კომანდონმა აღმოაჩინეს ახალი აპარატი, რომელიც წარმოადგენს კინემატოგრაფისა და სხივების კომბინაციას. ამ აპარატის შემწეობით,—რომელსაც „რადიო—კინემატოგრაფი“ უწოდეს,—ადვილად და ნათლად შეიძლება ადამიანის ორგანიზმის შინაგანი წყობილებასა და მოძრაობის განხილვა. ევროპაში მყოფ წითელი ჯვრის ამერიკულ ექსპერტებმა „რადიო კინემატოგრაფი“ სცადეს ეპიდემიების გამოსარკვევად და დარწმუნდენ, რომ ხსენებული აპარატი ყოველ მხრივ სანდოა.

სავინკოვის ლაშქარი.

სტამბოლი. ფრაგული გაზეთების ცნობით სავინკოვმა შეადგინა 150,000-იანი ლაშქარი. ლაშქრის ზოგი ნაწილი პოლონელებისაგან ტყვედ წაყვანილ წითელ ლაშქრისაგან შესდგება. სავინკოვი თავის ლაშქარს გენ. ვრანგელის განკარგულებაში აგზავნის.

გენ საპოჟნიკოვის ლაშქარი.

სტამბოლი გენ. საპოჟნიკოვმა სარატოვისა და სამარის რაიონში მოაწყო გლეხთა გრანდიოზული აჯანყება. და ხუთასი კაცისაგან შემდგარი ლაშქრით დაიკავა, ქ სამარა.

---

# უცხოეთი.

## ინგლისი.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„ობშჩეე დელო“ იუწყება:

ბრიტანეთის მთავრობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა სავაჭრო ხელშეკრულება დასდოს საბჭოთა რუსეთთან.

კრასინმა ამისთვის საკმაო გარანტიები დაპირდა ბრიტანეთის მთავრობას—ოქროს ფულების ბრიტანეთის ბანკებში შეტანით.

მეორე მხრით კრასინს უფლება მიეცა გაამრავლოს თავის ბიუროს წევრები. მან უკვე გამოიწერა რამდენიმე ცნობილი მოსკოველი კომუნისტი. აგრეთვე მან მიიღო ნებართვა ლონდონში „როსტას“ (რუსეთის დეპეშათა სააგენტოს) განყოფილების გახსნის შესახებ.

ამ განყოფილების უფროსათ დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნა ლებედევი, რომელიც თავისი ხუთი თანამშრომელით უკვე ლონდონში ჩავიდა.

ამ ცნობას ბერცევის გაზეთი შემდეგ სათაურს უკეთებს: Les afferes sont les afferes''...

ოქრო კრასინისათვის.

ინგლისის გაზეთების ცნობით კრასინმა ოქროს დიდი რაოდენობა მიიღო მოსკოვიდან. ოქრო ვითომდა სავაჭრო მიზნებისათვის იგზავნება, ფაქტიურად კი ბოლშევიკურ პროპაგანდას ხმარდება.

სილვია პანხერსტის დატუსაღება.

ლონდონის პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტური კვირეული ჟურნალის ,,Sorcers Dreadnoughl''-ის რედაქტორი სილვია პანხერსტი ამ ჟურნალში მოთავსებული წერილისთვის, რომელშიც ის ინგლისელ მეზღვაურებს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ თავის უფროსებს. იმავე დღეს ის თავდების ქვეშ გამოშვებული იქნა ციხიდან.

—

სილვია პანხერსტი ცნობილია თავის დედასთან ერთად როგორც სუფრაჟისტკა. მის სახელთან მჭიდროთ არის დაკავშირებული უკანასკნელ წლებში ლონდონის ქუჩებში მრავალი სკანდალის, მინისტრებზე თავდასხმის, პარლამენტში ფანჯრების ჩამტვრევის და სხვა ასეთი ქრონიკა. პირველ ხანებში პოლიცია სდევნიდა მას, მაგრამ როცა გაიგეს, რომ ის სულიერათ ავადმყოფი პიროვნებაა, თავი დაანებეს. სილვია პანხერსტი დაესწრო მოსკოვში გახსნილ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესს და მხურვალე მონაწილეობას იღებდა III ინტერნაციონალის ბიუროს მუშაობაში.

ტომასი პარლამენტის შესახებ.

მ ღაროებში მომუშავეთა გაფიცვის დროს, სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ინგლისელ რკინისგზელთა ბელადმა ტომასმა მაღაროების მუშების კრების წინაშე სთქვა:

,,სამშაბათს შეიკრიბება პარლამენტი, ის საუკეთესო სასამართლოა ჩვენი საქმის განსახილველად. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს საზოგადოების ეს თუ ის ნაწილი, სახელმწიფო უფრო ძლიერია და სუვერენიტეტიც მას ეკუთვნის''.

შეტაკება ლონდონში

გაზ. ,,ობზერვ დეილი'' იუწყება: ლონდონის სხვა და სხვა ნაწილების მერები ლოიდ-ჯორჯთან საუბარის დროს, ქალაქის ამ ნაწილებში მოაწყვეს გრანდიოზული მანიფესტაციები, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ გაფიცულები და ომის ყოფილი მონაწილეები. მანიფესტანტებს სურდათ გაერღვიათ პოლიციელთა წრე ინგლისის პრემიერის სახლთან, მაგრამ პოლიციელებმა ისინი უკან დააბრუნეს. ამ დროს მდ. ტემზას ნაპირიდან დაიძრა მეორე მანიფესტაცია, რომელმაც ხელმეორეთ მოინდომა პოლიციელთა წრის გარღვევა. მანიფესტანტებს და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. დაიჭრილია 4 პოლიციელი და რამდენიმე მანიფესტანტი.

დემონსტრაციების მოწყობათა რიცხვში იყო ჟორჟ ლანსბიური, გაზეთ ,,დეილი გერალდის'' მთავარი რედაქტორი.

ა ვ ს ტ რ ი ა.

საპარლამენტო არჩევნები ავსტრიაში.

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნომერში მოთავსებული ვქონდა გაზ. ,,Times''-ის გადმოცემით ცნობა ავსტრიის პარლამენტის არჩევნების შესახებ.

როგორც გაზ. ,,ობზერვ დეილის'' ცნობებით სჩანს, ეს ცნობები სწორი არ არის, ,,ობზერვ დეილის'' ცნობით არჩევნების საბოლოო შედეგი ასეთია: გაყიდა—ქრისტიანი სოციალისტები—84; სოციალ-დემოკრატები—64; პანგერმანისტები—21; აგრარიები —2; ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტია—1 (გრაფი ჩერნინი, ავსტრია უნგრეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი).

— იმავე გაზეთის გადმოცემით, ქრისტიანულ-სოციალისტური პარტიის გამარჯვებამ უზრუნველყო შტირიის გენერალ-გუბერნატორის რინტელენის კანდიდატურა ავსტრიის პრეზიდენტის პოსტზე.

უ კ რ ა ი ნ ა.

ბოლშევიკების მოღვაწ ობა უკრაინაში.

კიევიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკებმა გააძლიერეს რეპრესიები უკრაინელების წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა დახურეს: უკრაინის მასწავლებელთა კავშირი, რომელშიც 25 ათასამდე წევრი შედის, უკრაინის კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები და უკრაინის კოოპერატივთა კავშირი ,,დნიპროს-იუზი''.

უკრაინის წიგნის მაღაზიები ყველა დახურა, ატუსაღებენ უკრაინელ მწერლებს.

ხვრეტენ კონტრ-რევოლიუციონერებს.

ჩერნიგოვში ჩეკას დადგენილებით დახვრიტეს 20 კაცი, რომელთაც პეტლიურას ორგანიზაციებში მონაწილეობა ბრალდებოდათ.

ჩ ე ხ ო ს ლ ო ვ ა კ ი ა

ბოლშევიკების მოღვაწეობა.

პრაგაში გილერსონის მეთაურობით ბოლშევიკური მისიის ჩასვლის შემდეგ ჩეხმა კომუნისტებმა თავი ასწიეს.

როგორც გაზ ,,ობზერვ დეილი'' იუწყება კომუნისტებმა ხელთ ჩაიგდეს ჩეხიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო ,,პრავო ლიდუს'' რედაქცია და სტამბა. სოციალ-დემოკრატიული პარტია ებრძვის კომუნისტურ აგიტაციას. ,,პრავო ლიდუ'' კვლავ გამოდის სხვა სტამბაში. პრაგის გაზეთები მოითხოვენ გილერსონის და მისი თანამშრომლების ჩეხიის საზღვრებიდან გაძევება.

ი ტ ა ლ ი ა

იტალიელი სინდიკალისტის აღსარება.

იტალიის შრომის კონფედერაციის ერთ ერთმა მდივანმა ბალდეზიმ განაცხადა, რომ მუშათა მოძრაობამ უფრო გააუარესა იტალიის ეკონომიური მდგომარეობა. რევოლიუცია იტალიაში შეუძლებელია, რადგან ანგარიში უნდა გაეწიოს ინგლისის და საფრანგეთის მუშების ტაქტიკას. ამას გარდა შესაძლებელია სამხედრო იტალია იტალიელ ვრანგელის მოქმედების არენათ გადაიქცეს. ყველა ზემო ნათქვამიდან ბალდეზის ის დასკვნა გამოყავს, რომ სოციალისტებმა მმართველობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, რომ არსებული წყობილების გარდაქმნას მით ხელი შეუწყონ.

მიწების დატაცება.

მიწების დატაცებამ დათესილ ადგილების სივრცის შემცირება გამოიწვია. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სიცილიაში.

მიწადმოქმედების მინისტრს თათბირი ქონდა ზოგიერთ დეპუტატებთან იმ ზომათა შესახებ, რომელიც საჭიროა ამ მდგომარეობის გამო პარლამენტში შესატანად.

ლ ი ტ ვ ა.

ლიტვა და პოლონეთი.

კოვნოდან იუწყებიან, რომ ლიტვის ტერიტორიაზე სასწრაფოდ ეწყობა მოხალისეთა რაზმები. ლიტვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა შესწყდა, რადგან სტუდენტების უმრავლესობა მოხალისეებად ჩაეწერა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიპანსმა საპეგას ნოტის საპასუხოთ, პოლონეთს მოთხოვნა წარუდგინა, სადაც აღნიშნავს, რომ სანამ ლიტვა-პოლონეთს შორის მოლაპარაკება დაიწყებოდეს, საჭიროა პოლონეთმა ნათელი აზრი გამოსთქვას ამ ინციდენტის შესახებ.

ლიტვის მთავრობის შემადგენლობა

ლიტვის დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ მთავრობაში შედიან შემდეგი პირობები: ექიმი გრინიუსი—პრემიერი; გალვანაუსკასი—ვაჭრობა-მრეწველობის და გზათა მიმოსვლის მინისტრი; სკიპიტის—შინაგან საქმეთა მინისტრი; ექიმი პურიცკის—საგარეო საქმეთა მინისტრი; ბიზაუსკასი—სახალხო განათლების მინისტრი; ალექსა—მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი. კარვონის—იუსტიციის მინისტრი; პოლკ.-ლეიტ. ჟუკასი—თავდაცვის; სოლოვეიჩიკი—ებრაელთა საქმეების; სემაშკო—ბელორუსიის საქმეების მინისტრი.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

შრომის საყოველთაო ფედერაცია და სოციალისტურ პარტია.

19 ოქტომბერს შედგა შრომის საყოველთაო კონფედერაციის და სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების გაერთებული სხდომა—მოქმედების საერთო გეზის გამოსამუშავებლად სოციალისტური პარტია წინადადებას იძლეოდა არჩეული ყოფილიყო საერთო ხელმძღვანელი ორგანო ინგლისის მიხედვით. მაგრამ კონფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ორლეანის კონგრესის შემდეგ შეუძლიან ითანამშრომლონ მხოლოდ იმათთან, ვინც თავს არ ესხმის ამსტერდამის პროფესიულ ინტერნაციონალს.

ორლეანის კონგრესმა დაადგინა არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს პროფესიულ ორგანიზაციები პარტიებისადმი დამორჩილება, საფრანგეთის სოციალისტური პარტია კი მოსკოვს თანაუგრძნობს.

ჟუო და კონფედერაციის სხვა წევრები მოითხოვდენ, რომ პარტიამ უარყოს მოსკოვის პირობები, რომელიც მესამე ინტერნაციონალში შესვლას და ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალთან ბრძოლას მოითხოვს.

პარტიის წარმომადგენლებიდან რენოდელი, მაიერა და სხვებიც ამავე აზრის იყვნენ, მაგრამ პარტიის წარმომადგენელთა უმრავლესობა კითხვის ასე დაყენებას ვერ დაეთანხმა და საკითხი გადაუჭრელი დარჩა. დაადგინეს ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს ხელმეორე თათბირი კითხვის ასე თუ ისე გადასაჭრელად.

სარედაქციო კოლეგია.


სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74.

კავკასიური
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.

პურის ღვინო
,,რეკორდი''
საუკეთესოდ გაწმენდილი ,,სავალის'' აპარატებით
ყურძნის არაყი.

ხილის არაყი (,,ჭაჭა'')

ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიდგმულია.



გამყრელიძის ცირკი.

შაბათი 13 ნოემბერს

ჩვენი შაბათობა.
განსაკუთრებული № №

ჭიდაობს 3 წყვილი.

1. კარა-უსუფი—ვანდე-კოლონის წინააღმდ.
2. უცნობი—მურომცევის წინააღმდ.
3. გენჯა-ალი—ბრონენოსცევ ს წინააღმდ.

ანონსი. კვირას 14 ნოემბერს 15 წლის იუბილეს აღსანიშნავათ გაიმართება გამყრელიძის ცირკის გამგეს ლ. მ. ხუნდაძის ბენეფისი.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. მ. [illegible] მ ხარიტონოვის ქ № 21, ქ. ბათუმი.